

## დამტკიცებულია

ა(ა)იპ „აუდიტორთა, ბუღალტერთა, ფინანსურ მენეჯერთა და ფედერაციის“ საერთო კრების გადაწყვეტილებით (ოქმი № 3 )  
6.10. 2016 წ.

კრების თავმჯდომარე: -----

ბ. ა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი  
საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული  
ფედერაცია

## წესდება

(ახალი რედაქციით)

ქალაქი თბილისი

2016 წელი

## **პრეამბულა**

გამოვხატავთ რა ერთიან პოზიციას საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის სრულყოფის, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების და პროფესიული პრესტიჟის ამაღლების აუცილებლობის შესახებ,

ვაგრძელებთ რა 2011 წლის 8 დეკემბერს დაფუძნებული აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციას,

2012-2013-2014-2015 წლებსა და 2016 წლის მიმდინარე პერიოდამდე საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საკანონმდებლო და პროფესიულ სფეროებში განხორციელებული ახალი რეალობების გათვალისწინებით, ვიღებთ წესდების შემდეგ ახალ რედაქციას:

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1. საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია (შემდგომში ფედერაცია) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად. ფედერაცია შექმნილია და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. ფედერაციის არსებობა დამოუკიდებელია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებისაგან.

1.2. ფედერაცია დაფუძნებულია და ლეგიტიმურია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

### **1.3. სრული სახელწოდება**

- ქართულად: საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია (შემდგომ ტექსტში - „ფედერაცია“).

- ინგლისურად: The Professional Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia;

### **1.4. შემოკლებული სახელწოდება**

- ქართულად: საბფმფ

- ინგლისურად: GFAAFM

1.5. **სამართლებრივი ფორმა:** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

1.6. **იურიდიული მისამართი:** საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 2, ბ-27;

1.7. **საანგარიშგებო პერიოდი:** წელი, ემთხვევა კალენდარულ წელს;

1.8. ფედერაცია, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ფედერაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ფედერაციის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ფედერაცია საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

#### **1.9. მიზნები და ამოცანები**

##### **ფედერაციის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:**

- საქართველოში აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ინტერესების დაცვა;

- საერთო ძალისხმევა საქართველოში აღრიცხვა-ანგარიშგების აუდიტის და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის და ფაქტობრივი დამკვიდრების უზრუნველყოფისთვის;

- აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური მმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფის შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, წარდგენა შესაბამის ორგანოსთვის, ზრუნვა მათი პრაქტიკული რეალიზაციისთვის;

- აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, განგრძობითი სწავლებისა და სერტიფიცირების პროცესის განხორციელება;

- ფედერაციის წევრთა მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა;

### 1.10. ფედერაცია დასახული საერთო მიზნის მისაღწევად:

- აერთიანებს აუდიტორების, ბუღალტრების, ფინანსური მმართველების, საგადასახადო კონსულტანტების, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირების ინტელექტუალურ და მატერიალურ რესურსებს პროფესიული ინტერესების, დასახული ამოცანების მიღწევის შესაძლებლობების შესაქმნელად;

- გამოხატავს თავისი წევრების ლეგიტიმურ ინტერესებს სახელმწიფო მმართველობით, აღმასრულებელ და ადმინისტრაციულ ორგანოებში;

- წარადგენს წინადადებებს ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებსა და ორგანოებში აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური მმართველობის და საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე;

- უზრუნველყოფს წევრების ინფორმირებას ეკონომიკურ ურთიერთობათა მარეგულირებელ საკანონმდებლობლო აქტებში მომხდარი ცვლილებების, კანონპროექტების თუ პროფესიულ სფეროში სიახლეების შესახებ კონფერენციების, სემინარების, ელექტრონულ ბეჭდურ ორგანოში პუბლიკაციების მეშვეობით;

- ქმნის მიზნობრივ ფონდებს ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და წევრების წახალისებისათვის;

- იღებს მონაწილეობას საერთაშორისო, რეგიონულ და სხვა პროფესიულ გაერთიანებებსა და კავშირებში წევრობის სახით, ან სტუმრის სტატუსით;

- შეიმუშავებს და ამკვიდრებს თავისი წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის სისტემას;

- ატარებს განგრძობით სწავლებას და პროფესიულ სერტიფიცირებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

- შეიმუშავებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამის შიდა პოლიტიკას და პროცედურებს, თავისი წევრი აუდიტორების/აუდიტური ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის მექანიზმს, ასევე, დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების სისტემას და ახორციელებს მათი უზრუნველყოფის ღონისძიებებს ფედერაციის კომპეტენციის გავრცელების არეალში;

- წარმართავს ფედერაციის წევრთა და აუდიტორთა/აუდიტური ფორმების რეესტრს;
- გამოსცემს საინფორმაციო, მეთოდოლოგიურ, საცნობარო და სარეკლამო მასალებს, აგრეთვე ელექტრონულ სამეცნიერო, ანალიტიკურ, პრაქტიკულ ჟურნალს თავისი წევრებისა და დაინტერესებული პირების მოხმარებისთვის;
- უფლებამოსილია ეწეოდეს კანონით ნებადართულ და აუკრძალავ ნებისმიერ საქმიანობას, მათ შორის დამხმარე ხასიათის ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდან მიღებულ შემოსავალს მოახმარს დასახული მიზნების რეალიზებას.
- ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ფედერაციის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
- იმ სახის საქმიანობა, რომლის ჩამონათვალიც განსაზღვრულია კანონით, ფედერაციას შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების მომენტიდან.
- ფედერაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ფედერაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

## **მუხლი 2 ფედერაციის დამფუძნებლები**

### **2.1. ფედერაციის დამფუძნებლები არიან:**

- **აფრიდონიძე ელგუჯა**, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01010011704, დაბადებული 03.01.1956 წელს, მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ფერდ. მე-2 მკრ, მე-4 კვრტ, მე-2 კორპ, ბ – 56;
- **ახობაძე ოთარ**, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 37001008653, დაბადებული 05.07.1969 წელს, მისამართი: სამტრედია, დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხი, №10;
- **აჯიაშვილი მეგი**, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01008019363, დაბადებული 23.03.1959 წელს, მისამართი: თბილისი, წყნეთის 4, ბ – 7;
- **ბაკაშვილი ნიკოლოზ**, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01026000036, დაბადებული 30.08.1965 წელს, მისამართი: თბილისი, იალბუზის 5;

- **ლომსაძე დავით**, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01009009284, დაბადებული 27.01.1970 წელს, მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 2, ბ – 27;
- **ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე**, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01022004461 დაბადებული 20.11.1955 წელს, მისამართი: თბილისი, თემქა 11 მ/რ, კვ 1, კორპ 11, ბ – 36;
- **პაპასქუა იური**, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01001026257, დაბადებული 03.03.1956 წელს, მისამართი: თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპ 24, ბ – 61;
- **შიშმანაშვილი ზაქარია**, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 01002012759, დაბადებული 19.11.1960 წელს, მისამართი: თბილისი, გლდანი, მე-7 მ/რ, მე-4 კორპ, ბ – 162.

### **მუხლი 3. ფედერაციის დამფუძნებელთა/წევრთა სტატუსი**

#### **3.1. ფედერაციის წევრობის კატეგორიები:**

- **წევრი** – ფიზიკური პირი (ბუღალტერი, სერტიფიცირებული ბუღალტერი (აუდიტორი), აუდიტორის სერტიფიკატის მამძიებელი, ფინანსური მენეჯერი, საგადასახადო კონსულტანტი), რომელიც იხდის საწევრო გადასახადს, სარგებლობს ხმის და მმართველ ორგანოებში არჩევის უფლებით, უპირატესობით და პრივილეგიით. ფედერაციის დამფუძნებელი ამავედროულად ფედერაციის წევრია;

- - **ასოცირებული წევრი** – ფიზიკური პირი, რომელიც არ სარგებლობს მმართველ ორგანოებში არჩევის უფლებით, სარგებლობს წევრთათვის ამ წესდებით განსაზღვრული ყველა სხვა უფლებით, იხდის საწევრო გადასახადს დადგენილი განაკვეთის ოდენობით. ასოცირებული სტატუსით წევრობა დასაშვებია 2 წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ასოცირებულმა წევრმა, შესაბამისად, ფედერაციის გამგეობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი ნამდვილ წევრად შეცვლის თაობაზე. სხვა შემთხვევაში, პირს ასოცირებული წევრის სტატუსი უწყდება;

**სტუდენტი წევრი** - ამ სტატუსს მიიღებს სასწავლო ცენტრის ან ფედერაციის მიერ ორგანიზებული სწავლების კურსდამთავრებული ან ფედერაციაში საწარმოო პრაქტიკაზე მივლინებული უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის ბაკალავრი ან მაგისტრანტი, რომელიც განაცხადებს მზადყოფნას სწავლების დასრულების შემდგომ მოიპოვოს ფედერაციის ასოცირებული ან წევრის სტატუსი დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ფედერაციის სტუდენტი წევრი იხდის წევრობის სიმბოლურ გადასახადს

დადგენილი განაკვეთით. სტუდენტის სტატუსით წევრობა დასაშვებია 6 თვემდე ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, სტუდენტმა წევრმა, შესაბამისად, ფედერაციის გამგეობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი სტატუსის ასოცირებულ წევრად ან წევრად შეცვლის თაობაზე. სხვა შემთხვევაში, პირს სტუდენტი წევრის სტატუსი უწყდება;

- **საპატიო წევრი** - პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ფედერაციის საქმიანობას, ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნას ფედერაციის საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ფედერაციის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

ფედერაციაში დასაშვებია გაწევრიანდეს იურიდიული პირიც (აუდიტორული კომპანია, საკონსულტაციო და ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსური მომსახურების სფეროში სპეციალიზებული სუბიექტი). ასეთ შემთხვევაში, იურიდიული პირები ისარგებლებენ ფედერაციის წევრის სტატუსით და პრივილეგიებით. იურიდიული პირის, როგორც ფედერაციის წევრის მონაწილეობა ფედერაციის მართვაში ხორციელდება მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მეშვეობით.

**3.2.** კატეგორიების მიხედვით, ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს შესაბამისი პროფილის და პროფესიის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იზიარებს ფედერაციის მიზნებს, განაცხადებს მზადყოფნას შემოუერთდეს საერთო ძალისხმევას ფედერაციის მიზნების და ამოცანების შესასრულებლად, პასუხობს დადგენილ კრიტერიუმებს, გადაიხდის საწევროს და შეასრულებს ფედერაციის წესდებით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

**3.3.** კატეგორიების მიხედვით ფედერაციის წევრობის მსურველი პირი, დადგენილი ფორმის შესაბამისად მიმართავს გამგეობას, რომელიც ვალდებულია განაცხადზე პასუხი გასცეს (დააკმაყოფილოს ან უთხრას მოტივირებული უარი) არაუგვიანეს ერთი თვისა;

**3.5.** კატეგორიების მიხედვით ფედერაციის წევრად მიღება ხორციელდება წევრობის შესახებ დებულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;

**3.6.** ფედერაციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები (წევრები) ისარგებლობენ თანაბარი სტატუსით.

## **მუხლი 4. ფედერაციის წევრთა უფლებები და მოვალეობები**

### **4.1. ფედერაციის წევრები უფლებამოსილი არიან:**

- აირჩიონ და იყვნენ არჩეულნი ფედერაციის საქმიანობის მმართველ ორგანოებში;
- იყონ დასაქმებული ფედერაციის აღმასრულებელ ორგანოში;
- მონაწილეობა მიიღონ ფედერაციის განმკარგულებელ და აღმასრულებელ ორგანოთა ნებისმიერ საქმიანობაში, იყონ წარმოდგენილი ან მონაწილეობდნენ ფედერაციის კომიტეტებსა და კომისიებში, კონფერენციებში, სემინარებში, პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში;
- შეუზღუდავად გაეცნონ გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორის, კომიტეტების, სარევიზიო კომისიის მიღებულ გადაწყვეტილებებს, უახლოეს ინფორმაციებს და ნორმატიულ დოკუმენტაციებს პროფესიულ სფეროში;
- ისარგებლონ სიკეთეებით, უპირატესობებითა და პრივილეგიებით, რაც გათვალისწინებულია სტატუსის შესაბამისი წევრობის დებულებით.

### **4.2. ფედერაციის ასოცირებულ წევრებს შეუძლიათ:**

- მონაწილეობა მიიღონ ფედერაციის საერთო კრების საქმიანობაში;
- იყონ წარმოდგენილი ან მონაწილეობდნენ ფედერაციის კომიტეტებსა და კომისიებში, კონფერენციებში, სემინარებში, პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში;
- ისარგებლონ სიკეთეებით, უპირატესობებითა და პრივილეგიებით, რაც გათვალისწინებულია სტატუსის შესაბამისი წევრობის დებულებით.

### **4.3. ფედერაციაში ყველა სტატუსის წევრს უფლება აქვს:**

- მიიღოს შესაბამისი წევრობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც გაცემა მხოლოდ მიმდინარე წლის საწევრო გადასახადის შეტანის შემდეგ. წევრობის შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში, მოწმობა უნდა დაუბრუნდეს ფედერაციას მოთხოვნისთანავე.

### **4.4. ფედერაციის წევრები ვალდებული არიან:**

- დაიცვან ფედერაციის წესდების და პროფესიული ეთიკის ნორმები;
- ხელი შეუწყონ ფედერაციის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;



- გაიარონ ხარისხის კონტროლის პროცედურები, განგრძობითი სწავლების და სერტიფიცირების კურსები;

- დროულად და დადგენილი ოდენობით გადაიხადონ საწევრო გადასახადი;

- დააკმაყოფილონ სხვა მოთხოვნები, რომელსაც დაადგენს ფედერაცია მისი საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

#### **4.5. დისციპლინარული სახდელები, ფედერაციის წევრის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა**

4.5.1 ფედერაციის წესდების ან ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის წევრების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს დისციპლინარული სახდელები: გაფრთხილება; სტატუსის შეჩერება ერთ წლამდე ვადით; ფედერაციიდან გარიცხვა.

4.5.2. საერთო კრების გადაწყვეტილებით ფედერაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ფედერაციის წევრობიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება აღიარებულ მიზნებს, ჩაიდინა ისეთი ქმედება, რომელიც მიმართულია ფედერაციის წინააღმდეგ, დისკრედიტაციას უწევს ფედერაციას, ბუღალტრის ან/და აუდიტორის საქმიანობას ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

#### **4.6. ფედერაციის წევრს სტატუსი უწყდება:**

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) საწევრო შენატანის ერთი წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

დ) პირის გარიცხვისას ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში;

ე) გარდაცვალებისას - ფიზიკური პირის შემთხვევაში, ლიკვიდაციისას - იურიდიული პირის შემთხვევაში;

#### **მუხლი 5. ფედერაციის მართვა**

##### **5.1. ფედერაციის მმართველობითი ორგანოებია:**

- ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრება;

- ფედერაციის გამგეობა;
- ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი;
- სარევიზიო კომისია;
- კომიტეტები;

## 5.2. ფედერაციის სტრუქტურაში მოქმედებს:

- ფედერაციის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია;
- **სასწავლო ცენტრი**, რომელიც იქმნება სპეციალიზებულ სუბიექტთან წილობრივი მონაწილეობით, ფედერაციის წესდებით განსაზღვრული წევრების განგრძობითი სწავლებისა და პროფესიული სერტიფიცირების უზრუნველსაყოფად;
  - **ბეჭდური ელექტრონული ორგანო** - პერიოდული სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი.

**5.3. სასწავლო ცენტრი** დამოუკიდებელი სამეწარმეო სუბიექტია, რომლის მიზნები და ამოცანები, აგრეთვე საქმიანობის სფერო, მმართველობითი სპეციფიკა და ფედერაციასთან დამოკიდებულება განსაზღვრულია მისი წესდებითა და ხელშეკრულებით.

**5.4. ბეჭდური ელექტრონული ორგანო** - პერიოდული სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი, დამოუკიდებელი სუბიექტია, რომლის მიზნები და ამოცანები, აგრეთვე საქმიანობის სფერო, მმართველობითი სპეციფიკა და ფედერაციასთან დამოკიდებულება განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით.

## მუხლი 6. ფედერაციის წევრთა საერთო კრება

6.1. ფედერაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრება;

6.2. საერთო კრების მოწვევა ხდება წელიწადში ერთხელ მაინც, საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის არაუგვიანეს ივნისის თვის ბოლო დეკადისა. რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნას ფედერაციის წევრთა საერთო რაოდენობის 10 %-ის ერთობლივი წერილობითი მოთხოვნის, ან/და ფედერაციის გამგეობის მიერ, ან/და აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ ამას ფედერაციის ინტერესები მოითხოვს.

6.3. საერთო კრების მოწვევის დროისა და ადგილის, წარმომადგენლობის ნორმების და დელეგატების არჩევის წესს განსაზღვრავს ფედერაციის გამგეობა.

6.4. საერთო კრების მოწვევის შესახებ ფედერაციის ყველა წევრს (წევრების წარმომადგენლებს), კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 5 დღით ადრე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეცნობება ზუსტი თარიღი, დრო, მისამართი და დღის წესრიგი. საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ფედერაციის საიტზე კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა. საერთო კრების სხდომის გახსნამდე თითოეული დელეგატი უფლებამოსილია გამგეობისაგან მოითხოვოს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციული ხასიათის მასალები, დასამტკიცებელ დოკუმენტთა პროექტები და სხვა.

6.5. საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) სრული რაოდენობის ნახევარზე მეტი. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, კრება მოიწვევა განმეორებით, მოწვევის იგივე პროცედურების დაცვით. განმეორებით მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუნარიანი წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) ნებისმიერი ოდენობით დასწრების შემთხვევაში.

6.6. საერთო კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების (წევრების წარმომადგენლების) ხმების უმრავლესობით, ხოლო წესდებაში შესატანი ცვლილებები – დამსწრე წევრების (წევრების წარმომადგენლების) ხმების 2/3–ით.

6.7. საერთო კრება გადაწყვეტილებას ღებულობს მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც საერთო კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.

6.8. საერთო კრების მიმდინარეობა და გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი.

#### **6.9. საერთო კრების კომპეტენციაში შედის:**

5.9.1. წესდების მიღება, წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

6.9.2. სტრატეგიის, სამოქმედო პროგრამისა და საქმიანობის მარეგულირებელი ზოგადი აქტების მიღება;

6.9.3. გამგეობის შემადგენლობის და გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის), აღმასრულებელი დირექტორის არჩევის/განთავისუფლების პროცედურების დამტკიცება, გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის), აღმასრულებელი დირექტორის არჩევა/განთავისუფლება;

6.9.4. ფედერაციის გამგეობის (ფედერაციის პრეზიდენტის) ყოველწლიური ანგარიშის განხილვა გაწეული საქმიანობის შესახებ;

6.9.5. ფედერაციის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;

6.9.6. აღმასრულებელი დირექტორის წლიური ანგარიშის განხილვა, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;

6.9.7. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის არჩევა, მისი ანგარიშის განხილვა.

6.9.8. ვეტოს დადება გამგეობის გადაწყვეტილებაზე და ვეტოდადებულ საკითხზე ახალი გადაწყვეტილების მიღება;

6.9.9. ფედერაციის ლოგოს, ემბლემის და სხვა სიმბოლიკის მიღება ან/და მათი შეცვლა;

6.9.10. ფედერაციის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

## **მუხლი 7. ფედერაციის გამგეობა**

7.1. ფედერაციის ხელმძღვანელ და განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენს ფედერაციის გამგეობა;

7.2. ფედერაციის გამგეობა შესდგება სულ 9 წევრისგან, მათ შორის, გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) და 8 წევრისგან;

7.3. ფედერაციის გამგეობას და გამგეობის თავმჯდომარეს (ფედერაციის პრეზიდენტს) ირჩევს ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრება 3 (სამი) წლის ვადით. გამგეობის თავმჯდომარე (ფედერაციის პრეზიდენტი) აირჩევა ფედერაციის წევრთა შემადგენლობიდან, ხოლო გამგეობაში, სტრატეგიული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ფედერაციის წევრთა რეკომენდაციითა და წარდგენით დასაშვებია არჩეული იყვნენ არაწევრი პირებიც. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ გამგეობას უგრძელდება უფლებამოსილება საანგარიშგებო კრების მოწვევამდე. ამ შემთხვევაში

გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ კრების მოწვევაზე უახლოეს შესაძლო ვადაში და ახორციელებს კრების მოწვევასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. არჩევითი ვადის გასვლის შემდგომ გამგეობის ყველა სხვა გადაწყვეტილება ბათილია;

7.4. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარედ პირი შეიძლება ზედიზედ აირჩეს მხოლოდ 2 (ორი) ვადით;

7.5. არაკომპეტენტურობის, ფედერაციისთვის რეპუტაციის შელახვის და საზიანო საქმიანობის გამო, ან სხვა განსაკუთრებული პირობების არსებობისას, გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) უფლებამოსილების შეჩერებაზე საკითხი შეიძლება აღძრას ფედერაციის გამგეობამ და გადაწყვეტილებისთვის წარუდგინოს ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრებას;

7.6. გამგეობის, გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) არჩევის ფორმას და პროცედურას ირჩევს ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრება;

7.7. გამგეობის, გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) უფლებამოსილება ძალაში შედის/წყდება კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ;

7.8. გამგეობის წევრზე ანაზღაურება შეიძლება გაიცეს გამგეობის გადაწყვეტილებით.

### **8.8. ფედერაციის გამგეობის სხდომა**

8.8.1. გამგეობის სხდომა ტარდება სამ თვეში ერთხელ მაინც, რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ფედერაციის საჭიროების დამიხედვით;

8.8.2. გამგეობის სხდომა მოიწვევა ფედერაციის თავმჯდომარის ან აღმასრულებელი დირექტორის ან გამგეობის ერთობლივად 3 (სამი) წევრის მოთხოვნის საფუძველზე;

8.8.3. გამგეობის სხდომის მოწვევის შესახებ გამგეობის ყველა წევრს, სხდომის ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 3 დღით ადრე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეცნობება ზუსტი თარიღი, დრო, მისამართი და დღის წესრიგი;

8.8.4. გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა არა ნაკლებ 2/3-ისა. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში, სხდომა მოიწვევა განმეორებით. გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის დასწრე წევრთა უბრალო

უმრავლესობით. განმეორებით მოწვეული გამგეობის სხდომის გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს რიგგარეშე საერთო კრება.

8.8.5. გამგეობის სხდომის მიმდინარეობა და შედეგები აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ფედერაციის თავმჯდომარე.

### **8.9. გამგეობა ვალდებულია და უფლებამოსილია განახორციელოს:**

8.9.1. ფედერაციის ხელმძღვანელობა საერთო კრებებს შორის პერიოდში;

8.9.2. საერთო კრების მოწვევა და მასზე განსახილველი საკითხების მომზადება;

8.9.3. სამწლიანი სამუშაო გეგმის შედგენა, მისი შესრულების გრაფიკთან ერთად;

8.9.4. აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურის წარდგენა საერთო კრებაზე არჩევა/განთავისუფლების და შესაბამისი გადაწყვეტილების დამტკიცების მიზნით;

8.9.5. გამგეობის წევრისთვის საგანგებო რწმუნების მინიჭება ერთჯერადად ან ხანგრძლივი ვადით მიზანშეწონილების თუ აუცილებლობის შემთხვევაში, ფედერაციისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად;

8.9.6. დააწესოს გამგეობის წევრისთვის შრომის ანაზღაურების ოდენობა და წახალისების ფორმები, თუ ეს უკავშირდება მის განსაკუთრებულ მისიას ან რწმუნებას;

8.9.7. შექმნას ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და საშტატო განრიგი, განსაზღვროს აღმასრულებელი დირექტორის და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა;

8.9.8. ფედერაციის წარმომადგენლობის და ფილიალების შექმნა/გაუქმება;

8.9.9. იურიდიული პირების დაფუძნება/ლიკვიდაცია, იურიდიულ პირებში პარტნიორის სტატუსით მონაწილეობის მიღება/შეწყვეტა;

8.9.10. ფედერაციის კომიტეტების და კომისიების შექმნა/გაუქმება. შესაბამისი დებულებების დამტკიცება, მათში ცვლილებების და დამატებების შეტანა;

8.9.11. კატეგორიების მიხედვით ფედერაციის წევრის მიღება, წევრობის შეწყვეტა;

8.9.12. საწევრო გადასახადის ოდენობის დადგენა;

8.9.13. ფედერაციის საწესდებო მიზნების შესასრულებლად საჭირო ყველა საკითხის რეგულირება, გარდა საერთო კრების კომპეტენციაში შემავალისა.

8.9.14. საპატიო წევრის სტატუსის მინიჭება;

8.9.15. გადაწყვეტილებების მიღება ყველა სხვა საკითხზე, რომლებიც გამომდინარეობს ფედერაციის მიზნებიდან და ამოცანებიდან, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც მხოლოდ საერთო კრების უფლებამოსილებაში შედის.

### **მუხლი 9. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე**

9.1. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე ამავე დროს ფედერაციის პრეზიდენტი და ფედერაციას წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობებში;

9.2. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე (ფედერაციის პრეზიდენტი) ანგარიშველდებულია ფედერაციის გამგეობის და საერთო კრების წინაშე;

9.3. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტი) კომპეტენციებია:

9.3.1. ფედერაციის საერთო კრების და გამგეობის სხდომების თავმჯდომარეობა;

9.3.2. კონტროლის განხორციელება კრების და გამგეობის სხდომათა გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

9.3.3. ფედერაციის აღმსრულებელი დირექტორის კომპეტენციათა განხორციელება მისი არ ყოფნის, ქმედუუნარობის ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე სხვა შემთხვევაში;

9.3.4. სრული და შეუზღუდავი წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობებში.

9.3.5. ფედერაციის რეგიონალური განვითარების პოლიტიკის განსაზღვრა და წარდგენა გამგეობაზე დასამტკიცებლად;

9.3.6. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ფედერაციის წარმომადგენლობების ჩამოყალიბებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება;

9.3.7. სხვადასხვა ქვეყნის აუდიტორთა და ბუღალტერთა საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება, აგრეთვე მოლაპარაკებების წარმოება ფედერაციის ინტერესთა სფეროში შემავალ საკითხებზე, ურთიერთანამშრომლობის შესახებ შესაბამისი აქტების მომზადება და გაფორმება;

9.3.8. ფედერაციის ინტერესების უზრუნველყოფისთვის აუცილებელ პროფესიულ აუდიტორთა და ბუღალტერთა საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების ღონისძიებების განხორციელება;

9.3.9. განხორციელებულ საქმიანობაზე ანგარიშის მომზადება და წარდგენა და განხილვა გამგეობის სხდომაზე.

#### **9.4. ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი**

9.4.1. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის წარდგენით ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორს ირჩევა ფედერაციის საერთო კრების მიერ.

9.4.2. აღმასრულებელი დირექტორი საქმეს უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად. თუ ის არ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, ან შეასრულებს არაჯეროვნად, პასუხს აგებს ფედერაციის წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის მესამე პირების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად. უარის თქმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილია. აღმასრულებელი დირექტორის პასუხისმგებლობა დეტალურად განისაზღვრება კონტრაქტით.

9.4.3. დირექტორი შეიძლება იყოს გამგეობის წევრი.

9.4.4. ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის განთავისუფლება ხდება საერთო კრების მიერ ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის (ფედერაციის პრეზიდენტის) წარდგენით:

- საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- იმ შემთხვევაში თუ კი აღმასრულებელი დირექტორი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს ან მოქმედებს ფედერაციის ინტერესების წინააღმდეგ;
- ფედერაციის ფულადი სახსრების არამიზნობრივი და არადანიშნულებით ხარჯვის ფაქტების გამოვლენისას;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვ შემთხვევაში;

#### **9.5. ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის კომპეტენციებია:**

9.5.4. ფედერაციის სამეურნეო–საფინანსო საქმიანობის მართვა, მესამე პირებთან შესაბამისი ხელშეკრულებების დადება/შეწყვეტა, სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა;



9.5.5. ადმინისტრაციული პერსონალის დანიშვნა/განთავისუფლება;

9.5.6. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის კომპეტენციების შესრულება, მისი არ ყოფნის, ქმედუნარობის ან სხვა ანგარიშგასაწევ შემთხვევაში;

9.5.7. სრული და შეუზღუდავი წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობებში;

9.5.8. ფედერაციის ბიუჯეტის პროექტის შედგენა და წარდგენა ფედერაციის გამგეობაზე განსახილველად;

9.5.9. ფედერაციის ბიუჯეტის შესრულების/ფინანსურის ანგარიშგების წარდგენა ფედერაციის საერთო კრებაზე დასამტკიცებლად;

9.5.10. შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება გამგეობის სხდომისა და საერთო კრების ჩატარების უზრუნველსაყოფად;

9.5.11. ფედერაციის რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ კი საფრთხე დაემუქრება ფედერაციის ფუნქციონირებას ან შეიძლება ზიანი მიაღგეს ფედერაციის ფინანსურ დამოუკიდებლობას.

## **მუხლი 10. კომიტეტები**

10.1. ფედერაციის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად იქმნება შემდეგი კომიტეტები:

- წევრობის კომიტეტი;
- პროფესიული ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტი;
- ხარისხის მონიტორინგის და კონტროლის კომიტეტი;
- განათლებისა და სერტიფიცირების კომიტეტი;
- სტანდარტების და პრაქტიკის კომიტეტი;
- საგადასახადო საკითხთა კომიტეტი.

10.2. კომიტეტების რაოდენობა და დასახელება შეიძლება შეიცვალოს გამგეობის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე;

10.3. ფედერაციის კომიტეტის ხელმძღვანელი ინიშნება გამგეობის გადაწყვეტილებით. კომიტეტის შემადგენლობას განსაზღვრავს კომიტეტის ხელმძღვანელი და მისი წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა;

10.4. კომიტეტის საქმიანობის მიმართულება, კომპეტენცია და საქმიანობის რეგულაცია განისაზღვრება კომიტეტის დებულების შესაბამისად;

10.5. კომიტეტის სამოქმედო დებულება, აგრეთვე მასში შესატანი ცვლილება შემუშავდება შესაბამისი კომიტეტის ხელმძღვანელის მიერ და მტკიცდება გამგეობის გადაწყვეტილებით.

### **მუხლი 11. სარევიზიო კომისია**

11.1. ფედერაციის საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად იქმნება სარევიზიო კომისია;

11.2. სარევიზიო კომისია აირჩევა 3 წლის ვადით 3 წევრის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ფედერაციის წევრი.

11.3. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ფედერაციის საერთო კრების მიერ. სარევიზიო კომისიის ორ წევრს ირჩევს გამგეობა ფედერაციის წევრთა რიგებიდან.

11.4. სარევიზიო კომისია მოქმედებს ფედერაციის წესდების და კომისიის დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა;

### **12. ფედერაციის ქონება**

12.1. ფედერაციის ქონება იქმნება:

- ფედერაციაში გაწევრიანების და ფედერაციის საწევრო შენატანებით;
- საწარმოთა, ორგანიზაციათა და ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი შენატანებით (შემოწირულობებით);

- გრანტებით;
- ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით;
- კანონმდებლობის დაცვით მიღებული სხვა შემოსავლებით.

12.2. ფედერაცია ამ წესდებით განსაზღვრული საერთო მიზნის შესაბამისად ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მის ქონებას, ასევე თავისი საქმიანობიდან მიღებულ მოგებას;

12.3. ფედერაციის ქონების და საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ფედერაციის წევრებს შორის დაუშვებელია. ფედერაციის მიერ მიღებული შემოსავლები ხმარდება და გამოიყენება მხოლოდ ფედერაციის მიზნებისათვის.

### **მუხლი 13. ფედერაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია**

13.1. ფედერაციის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. ფედერაციის კომიტეტის ან კომისიის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

13.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გადაეცეს უფლებამოსილ პირს.

13.4. წევრთა გადაწყვეტილება ფედერაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

13.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ ფედერაციის დამფუძნებლები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

- გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
- ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
- ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

13.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ფედერაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

13.7. თუ ფედერაციის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ფედერაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ ფედერაციას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ

არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

13.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

#### **მუხლი 14. დასკვნითი დებულებები**

14.1. წინამდებარე წესდების ახალი რედაქცია ძალაში შედის ფედერაციის წევრთა (წევრების წარმომადგენელთა) საერთო კრების მიერ დამტკიცებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება ფორმდება კრების ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი.

14.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

14.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

#### **ხელმოწერები:**

აფრიდონიძე ელგუჯა

ახობაძე ოთარ

აჯიაშვილი მეგი

ლომსაძე დავით

ოქრომჭედლიშვილი ალექსანდრე

პაპასქუა იური

შიშმანაშვილი ზაქარია